<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---სექტემბერი 2019 წელი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ლეო და ნოდარ გაბუნიების სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ლეო და ნოდარ გაბუნიების სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X=476746 Y=4620404
X=477402 Y=4620235
ლეო და წოდარ გაბუნიების ქ.
X=476957 Y=4620122

09.10.18 10/031828270-03

საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირი
Georgian Composers Union

0102, თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. 123 / 123 D. Agmashenebeli ave., Tbilisi, 0102, Georgia
ტელ./Tel.: +995 32 2954164, +995 32 2959513; E-mail: geocomposers@gmail.com; www.composersunion.org.ge

№32

08.10.2018

ქალაქ თბილისის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ თინათინ წიბლოშვილს

ქალბატონო თინათინ,

მოგმართავთ თხოვნით, რომ გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის, პიანისტის, საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სახალხო არტისტის, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის, იუნესკოს საერთაშორისო პრემიის ლაურეატის, პროფესორ ნოდარ გაბუნიას (1933-2000) სახელის უკვდავსაყოფად ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს ნოდარ გაბუნიას სახელი.

მნიშვნელოვანია ნოდარ გაბუნიას ღვაწლი ქართული მუსიკალური ხელოვნების წინაშე. მისი მუსიკალური ნაწარმოებები - ორი სიმფონია, სამი საფორტეპიანო კონცერტი, პოემა–ელეგია სიმებიანი ორკესტრის, ჰობოისა და ლიტავრებისათვის, სამი საფორტეპიანო სონატა, მრავალი კამერულ-ინსტრუმენტული და ვოკალური ნაწარმოები, მუსიკა თეატრისა და კინოფილმებისთვის, მათ შორის, „ვედრება“, „ნერგები“, „აურზაური სალხინეთში“, „ამბავი ივანე კოტორაშვილისა“ - წარმოადგენს ქართული საკომპოზიტორო მემკვიდრეობის საგანძურს.

ბატონი ნოდარი 1962 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, 1965 წლიდან იყო საფორტეპიანო კათედრის გამგე, ხოლო 1984 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი. 1992 1993 წლებში მიწვეული იყო ნიუ–ორლეანის (აშშ) უნივერსიტეტის ფორტეპიანოს კათედრის პროფესორად. მისი აღზრდილი პიანისტები წარმატებით მოღვაწეობენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

ამავე დროს, ნოდარ გაბუნია ეწეოდა წარმატებულ საშემსრულებლო მოღვაწეობას, როგორც პიანისტი. მას ასეულობით კონცერტი ჰქონდა გამართული როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირის ქალაქებში, ასევე ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

ნოდარ გაბუნია აქტიური საზოგადო მოღვაწეც იყო, სხვადასხვა დროს ეკავა თანამდებობები საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში: 1973-1979 წლებში იყო კავშირის მდივანი, ხოლო 1996-1997 წლებში - კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე.

მოგახსენებთ, რომ ბატონი ნოდარი ცხოვრობდა ალ. ყაზბეგის გამზ. N20ა-ში, ხოლო დაიბადა და ახალგაზრდობის წლები გაატარა სულხან-საბას ქ. N9-ში. ამდენად, სასურველი იქნებოდა, რომ ნოდარ გაბუნიას სახელი მიენიჭოს მისი ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ქუჩას.

გაცნობებთ, რომ საბოლოო, შეჯერებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ნოდარ გაბუნიას ოჯახი მზადაა თანამშრომლობისთვის (საკონტაქტო პირი - სალომე გაბუნია, ტელ.: 577 444 118).

წინასწარ გიხდით მადლობას მხარდაჭერისთვის.

პატივისცემით,
საქართველოს კომპოზიტორთა
შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე

გიორგი შავერზაშვილი

10.12.18. 10/031834471-03

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

0108 თბილისი, რუსთაველის პროსპ. 52
დეპეშებისათვის: თბილისი 8, მეცნიერება
ტელ./ფაქსი: +(995 32) 299-00-52
+(995 32) 299-88-91
ელ. ფოსტა: kancelaria@science.org.ge
academy@science.org.ge

„10" 12 2018 წ.
№ 010107 465/449
თქვ. №

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბ-ნ გიორგი ტყემალაძეს

განმეორებით მოგმართავთ თხოვნით, რომ გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ლუკა გაბუნიას 1920-2001 სახელი დაერქვას თბილისის ერთ-ერთ ქუჩას.

სასურველი იქნებოდა, რომ ლუკა გაბუნიას სახელი მიენიჭოს მთაწმინდის რაიონში მდებარე ცხემის ან ტარიელის ქუჩას.

წინასწარ გიხდით მადლობას.

ღრმა პატივისცემით,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული

აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი,

აკადემიკოსი როინ მეტრეველი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

0108 თბილისი, რუსთაველის პროსპ. 52
დეპეშებისათვის: თბილისი 8, მეცნიერება
ტელ./ფაქსი: +(995 32) 299-00-52
+(995 32) 299-88-91
ელ. ფოსტა: kancelaria@science.org.ge
academy@science.org.ge

"05" 07 2018 წ.
№ 010107-465/289
თქვ. №

06/03/818769-03

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს გ. ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

შეგახსენებთ, რომ 2017 წლის 4 ოქტომბერს და 2017 წლის 29 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართა თხოვნით ქალაქის ქუჩებისათვის მსოფლიოში აღიარებული ორი მეცნიერის, აკადემიკოსების - პალეობიოლოგი ლეონიდე (ლეო) გაბუნიასა და ისტორიკოს გიორგი მელიქიშვილის სახელის მინიჭების თაობაზე. ამ მეცნიერთა ღვაწლსა და დამსახურებაზე ინფორმაციით არ შეგაწუხებთ (აკადემიის წერილების ასლები თან ერთვის). აკად. გ. მელიქიშვილის თხოვნასთან დაკავშირებით მივიღეთ ინფორმაცია საკითხის 2018 წლის მარტში განხილვის შესახებ, თუმცა დღემდე პასუხი არ მიგვიღია. რაც შეეხება თხოვნას აკად. ლ. გაბუნიას სახელის ქუჩისათვის მინიჭების თაობაზე, პასუხი საერთოდ არ უცნობებიათ მეცნიერებათა აკადემიისათვის.

ბატონო გიორგი,

გთხოვთ ვაეცნოთ არსებულ ვითარებას მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის თხოვნის თაობაზე და დააჩქაროთ საკითხის გადაწყვეტა.

ვიცე-პრეზიდენტი

რ. მეტრეველი

01/07-465/484

04.10.17

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბ-ნ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა, გამოჩენილმა ქართველმა პალეობიოლოგმა ლეონიდე (ლეო) გაბუნიამ დიდი წვლილი შეიტანა ქართული მეცნიერების განვითარების საქმეში. მის სახელთანაა დაკავშირებული მსოფლიო მნიშვნელობის „დმანისის ადამიანის“აღმოჩენა.

მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აფასებს რა აკადემიკოს ლეონიდე (ლეო) გაბუნიას ღვაწლსა და დამსახურებას ქვეყნის წინაშე, მოგმართავთ თხოვნით, რათა მეცნიერის სახელის უკვდავსაყოფად თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს მისი სახელი.

წარმოგიდგენთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის 2017 წლის 29 სექტემბრის №23 დადგენილებას აღნიშნული საკითხის შესახებ.

პატივისცემით,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის აკადემიკოს მდივანი
აკადემიკოსი ირაკლი ჟორდანია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმი
დადგენილება № 23

2017 წლის 29 სექტემბერი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის აკადემიკოსის ლეონიდე (ლეო)
გაბუნიას სახელის უკვდავყოფის შესახებ

მომხსენებელმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა აკადემიკოსმა თენგიზ ბერიძემ აღნიშნა, რომ ლეონიდე გაბუნია (1920-2001), გამოჩენილი მეცნიერი - პალეობიოლოგი, მეცნიერების დიდი ორგანიზატორი და თვალსაჩინო მოღვაწე წლების მანძილზე იყო პალეობიოლოგიის ინსტიტუტის ჯერ დირექტორი (1976-1989), შემდეგ საპატიო დირექტორი (1989 - 2001), მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, 1988-2001 წლებში კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს- მდივანი.

მის სახელთანაა დაკავშირებული მსოფლიო მნიშვნელობის „დმანისის ადამიანის" აღმოჩენა. იგი იყო 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის 9 მონოგრაფიის. ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო-საორგანიზაციო და ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრებამ ერთხმად დაუჭირა მხარი წინადადებას, რათა თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს მისი სახელი.

პრეზიდიუმი ადგენს:

დაკმაყოფილდეს ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრების ცხოვნა და აღიძრას შუამდგომლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე, რათა ქართული მეცნიერების განვითარების საქმეში აკად. ლეო გაბუნიას დამსახურებისა და ღვაწლის აღსანიშნავად თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს მისი სახელი.

საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი
აკადემიკოსი გ. კვესიტაძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის აკადემიკოს-მდივანი
აკადემიკოსი ირ. ჟორდანია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: 03-031919814
თარიღი: 17/07/2019
პინი: 9275

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს
ბატონ გიორგი ებანოიძეს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი 2018 წლის 9 ოქტომბრის საქმე # 10/031828270-03 და 2018 წლის 6 ივლისის საქმე #06/031818769-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვენ თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ლეო და ნოდარ გაბუნიების სახელის მინიჭებას.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ლეო და ნოდარ გაბუნიების ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 7 (შვიდი) გვერდი.

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი 67-01191983242
თარიღი: 17/07/2019
პინი. 4462

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 17.07.2019 წლის #03-031919814 (17.07.2019წ. #14-0119198322-67) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, თბილისი, 0160, ე. შარტავას ქ. N7, (+995 32) 272 22 22, ფაქსი:(+995 32) 237 82 24



ლეო გაბუნია

(1929-2001)

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი 1943 წელს. 1947–1950 წწ. მუშაობდა გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, 1957-1976 წწ. პალეობიოლოგიის ინსტიტუტის ხერხემლიანთა პალეობიოლოგიის განყოფილების გამგე, 1976-1988 წწ. პალეობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, 1976-1988 წწ. მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, პალეობიოლოგიის ინსტიტუტის საპატიო დირექტორი. მისი გამოკვლევები გამოქვეყნებულია საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიის, აშშ-ს, გერმანიის, ჩინეთის პერიოდულ გამოცემებში. არის ავტორი წიგნებისა: „დინოზავრების ნაკვალევი“, „ჰიპარიონების ისტორია“, „ბენარის ოლიგოცენურ ხერხემლიანთა ფაუნა“, „ლუი დოლო“. მეცნიერულ–პოპულარული სერიის „ათინათის“ რედაქტორი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

1947 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „დასავლეთ საქართველოს პლიოცენურ მოლუსკურ ფაუნათა პარალელიზაცია“; 1954 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ჰიპარიონების ისტორია“ (საბჭოთა კავშირის ნეოგენის მასალების მიხედვით), დაიცვა 1954 წელს.

ნოდარ გაბუნია

(1933 - 2000)

კომპოზიტორი, პიანისტი და პედაგოგი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

დაიბადა თბილისში 1933 წელს. დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორია ფორტეპიანოს განხრით 1957 წელს, 1962 წელს კი კომპოციზიის განხრით.

1962 წლიდან არის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი, 1965 წლიდან ფორტეპიანოს კათედრის გამგე, 1973-1975 წლებში იყო კომპოზიტორთა კავშირის მდივანი, ხოლო 1996 წელს კომპოზიროტთა კავშირის თავმჯდომარე; 1984 წლიდან იყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი. 1992–1993 წლებში მუშაობდა ნიუ–ორლეანის უნივერსიტეტის ფორტეპიანოს კათედრის პროფესორად; გამოდიოდა კონცერტებით როგორც პიანისტი, იყო ბელა ბარტოკის საფორტეპიანო ნაწარმოებების აქტიური პროპაგანდისტი. მას ეკუთვნის შემდეგი ნაწარმოებები: ორი სიმფონია, სამი საფორტეპიანო კონცერტი, პოემა–ელეგია სიმებიანი ორკესტრის, ჰობოისა და ლიტავრისათვის, სამი საფორტეპიანო სონატა, სონატა ორღანისათვის, იმპროვიზაცია და ტოკატა ფორტეპიანოსათვის, საორღანო მუსიკა, კამერულ–ვოკალური ნაწარმოებები. მუსიკა თეატრისა და კინოფილმებისათვის: „ვედრება“, „ნერგები“, „აურზაური სალხინეთში“.

1965 წელს დაჯილდოვდა იუნესკოს საერთაშორისო პრემიით; 1982 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება; 1985 წელს დაჯილდოვდა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიით;

გარდაიცვალა 2000 წელს ამსტერდამში.